დამტკიცებულია
სსიპ ქალაქ ქუთაისის N 17 საჯარო სკოლის დირექტორის
2023 წლის 13 დეკემბრის ბრძანება N 2-690

დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა

2023 წელი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის (შემდგომში - სკოლა) მიერ დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი აღნიშნული დოკუმენტი

2. სკოლა ვალდებულია გააცნოს „სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ‘’ თავის დასაქმებულს.

მუხლი 2. დირექტორის მოადგილის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. სკოლის დირექტორის მოადგილე (შემდგომში დირექტორის მოადგილე) შეიძლება იყოს მაგისტრის (მაგისტრთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც დასტურდება კანონის შესაბამისად გაცემული დოკუმენტით.
2. დირექტორის მოადგილედ მუშაობის დაწყებამდე უნდა ჰქონდეს პედაგოგად მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება .
3. უნდა იცოდეს ეროვნული სასწავლო გეგმა.
4. უნდა იცნობდეს ძირითად კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მუშაობის პროცესში.
5. ჰქონდეს მუდმივი მზაობა ახალი ცოდნის მისაღებად.

მუხლი 3. ბუღალტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. სკოლის ბუღალტერი (შემდგომში ბუღალტერი) შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი საბუღალტრო ან საფინანსო ეკონომიკური მიმართულებითა, რომელიც დასტურდება კანონის შესაბამისად გაცემული დოკუმენტით.
2. უნდა ჰქონდეს მზაობა აუცილებელი ბუღალტრული საქმიანობის შესასრულებლად.
3. ბუღალტრისათვის სავალდებულოა მინიმალური უნარები სამი მიმართულებით:
   ა) ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები;
   ბ) ორგანიზაციული და საქმიანი ცოდნა;
   გ) ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა;
4. ჰქონდეს მუდმივი მზაობა ახალი ცოდნის მისაღებად.

მუხლი 4. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. სკოლაში **დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი** შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

ბ) უნდა ჰქონდეს განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

გ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიარონ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი;

დ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და უნდა ჰქონდეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ე) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია;

ვ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

2. სკოლაში **საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი** უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთანავე, საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

   ა) სრული ზოგადი განათლება;

   ბ) შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ანდა სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

3. **მოწვეულ მასწავლებელს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

4. **შემცვლელ მასწავლებელს** უნდა გააჩნდეს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და უნდა აკმაყოფილებდეს მოწვეული მასწავლებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლაში სპეციალური მასწავლებელი** უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

   ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული ან მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული;

ბ) უნდა ჰქონდეს სულ მცირე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა;

გ) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, სპეციალურ მასწავლებლად/მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიაროს სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი და უნდა ჩააბაროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი გამოცდა;

დ) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და უნდა ჩააბაროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი გამოცდა.

6. **სპეციალური მასწავლებელი,** რომელიც ასწავლის და მუშაობს მხედველობის ან სმენის დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, გავლილი უნდა ჰქონდეს მხედველობის ან სმენის დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სწავლების სპეციალიზებული სასერტიფიკატო პროგრამა.

მუხლი 5. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი

1. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ტექნიკური განათლება, ან ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ფლობს ტექნიკურ უნარ-ჩვევებს.
2. იცის, როგორ მართოს ტექნიკური პერსონალი ღირსებისა და პატივისცემის სრული დაცვით.
3. იცის, როგორ შეძლოს მარტივი ხარვეზის გამოსწორება (დაზიანებული ინვენტარის უსაფრთხოდ განთავსება და შესაბამისი რეაბილიტაცია), მითითებას აძლევს სკოლის მუშას, როგორ აღმოფხვრას მარტივი დაზიანებები
4. იცის, როგორ აიმაღლოს კვალიფიკაცია უსაფრთხოების წესების განუხრელად დასაცავად.
5. შეუძლია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა (ახალი ხსნარების მოხმარება, ახალი ტექნიკის მოხმარება)

მუხლი 6. საქმისმწარმოებელი

1. საქმისმწარმოებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კარგად ფლობს ზეპირი და წერითი კომუნიკაციის ხერხებს და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.
2. იცის განათლების eFlow და eShool სიტემებში მუშაობა
3. იცის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესები.
4 . იცის დოკუმენტაციის მომზადების წესები.

5. აქვს მუდმივი მზაობა ახალი ცოდნის მისაღებად.

მუხლი 7. ბიბლიოთეკარი

1. სკოლის ბიბლიოთეკარი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
2. სკოლის ბიბლიოთეკარმა იცის წიგნადი ფონდის მართვა;
3. სკოლის ბიბლიოთეკარს აქვს მუდმვი მზაობა სიახლეების გასაცნობად და დასანერგად.

მუხლი 8. ინდივიდუალური ასისტენტი

1. ინდივიდუალური ასისტენტი შეიძლება იყოს ბაკალავრის/ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სსსმ ან შშმ პირთან მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება ან გავლილი აქვს სპეციალური გადამზადების კურსი და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს.
2. ინდივიდუალურმა ასისტენტმა იცის, როგორ დაიცვას სსსმ და შშმ პირის და მის გარშემო მყოფთა უსაფრთხოება.
3. ინდივიდუალური ასისტენტი მუსმიცად იმაღლებს ცოდნას, რათა სოციალური ინტეგრაციის პრობლემები შეუმსუბუქოს სსსმ და შშმ პირებს.
4. ინდივიდუალურ ასისტენტს აქვს მუდმივი მზაობა ახალი ცოდნის მისაღებად.

მუხლი 9. დამლაგებელი

1. სკოლის დამლაგებელი შეიძლება იყოს საბაზო და/ან საშუალო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს ფიზიკური შესაძლებლობა ყოველდღიურად, დადგენილი ნორმების შესაბამისად, დაასუფთავოს სკოლის შენობა.
2. სკოლის დამლაგებელს უნდა შეეძლოს, იცოდეს და გამიჯნოს ერთმანეთისაგან გამოსაყენებელი რესურსები და დაიცვას უსაფრთხოების წესები;
3. სკოლის დამლაგებელმა იცის, როგორ დაიცვას სოციუმში ინტეგრაციის წესები.
4. სკოლის დამლაგებელი იმაღლებს ცოდნას ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესების შესახებ.
5. სკოლის დამლაგებელს აქვს მზაობა იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე (ახალი ხსნარების მოხმარება, ახალი ტექნიკის მოხმარება)

მუხლი 10. დარაჯი

1. სკოლის დარაჯი შეიძლება იყოს მინიმუმ საშუალო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობები
2. სკოლის დარაჯმა იცის, როგორ შეძლოს საჭიროებისამებრ სწრაფი რეაგირება და მაქსიმალურად დაიცვას უსაფრთხოების წესები
3. სკოლის დარაჯმა იცის მატერიალური რესურსების ეფექტურად დაცვა.
4. სკოლის დარაჯმა იცის, როგორ დაიცვას სოციუმში ინტეგრაციის წესები;
5. სკოლის დარაჯი იმაღლებს ცოდნას ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესების შესახებ.

მუხლი 11. სკოლის ექიმი

1. სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში:

ა) „პედიატრია“;

ბ) „საოჯახო მედიცინა“;

გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.

2. სკოლის ექიმს უნდა შეეძლოს მოსწავლეზე ძალადობის, არასათანადო მოპყრობის ან სხვა მსგავსი ფაქტების აღმოჩენა და სკოლის დირექციის, სოციალური სამსახურის და სხვა შესაბამისი უწყებების ინფორმირება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. სკოლის ექიმი უნდა იცნობდეს კანონს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და იცავდეს მას დადგენილი წესის შესაბამისად.

4. სკოლის ექიმს უნდა ჰქონდეს პროფესიის შესაბამისი გამოცდიმება, მინიმუმ 3 წელი.

5. სკოლის ექიმმა იცის, როგორ აწარმოოს გაწეული მომსახურების შესაბამისი დოკუმენტაცია.

6. სკოლის ექიმმა იცის ტექნოლოგიების მოხმარება

7. სკოლის ექიმმა იცის, როგორ დაიცვას უსაფრთხოება.

8. სკოლის ექიმს აქვს მუდმივი მზაობა ახალი ცოდნის მისაღებად.

მუხლი 12.სკოლის მუშა

1. სკოლის მუშა შეიძლება იყოს პირი საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლებით, რომელსაც აქვს კომპეტენცია, ინფრასტრუქტურის და/ ან ინვენტარის მცირე და საშუალო დაზიანების შეკეთებისა.
2. სკოლიის მუშამ იცის, როგორ დაიცვას სოციუმში ინტეგრაციის წესები.
3. სკოლის მუშა იმაღლებს ცოდნას ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესების შესახებ.

მუხლი 13. სკოლის ცეცხლფარეში

1. სკოლის ცეცხლფარეში არის სპციალურად გადამზადებული პირი მინიმუმ საშუალო ან/და საშუალო პროფესიული განათლებით.
2. სკოლის ცეცხლფარეშმა იცის, როგორ უზრუნველყოს მაქსიმალური უსაფრთხოების დაცვით სკოლის ხარისხიანად გათბობა.
3. სკოლის ცეცხლფარეშმა იცის, როგორ გამოავლინოს ხარვეზები და აღმოფხვრას ისინი (შეძლებისდაგვარად), ან მოითხოვოს კვალიფიციური დახმარება.
4. სკოლის ცეცხლფარეში სისტემატურად ეცნობა სიახლეებს გათბობის სისტემის გამართულად მუშაობის მიზნით.
5. სკოლის ცეცხლფარეში იმაღლებს ცოდნას ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესების შესახებ.